ვებგვერდის
მომსახურების სტანდარტული პირობები

1. **ტერმინთა განმარტება**

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონტექსტი სხვაგვარად მოითხოვს ან **შეთანხმებით** სხვაგვარაადაა განსაზღვრული, დადგენილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

HRRA - *შპს დასაქმების სააგენტო ეიჩარი, საიდენტიფიკაციო კოდი: 204554259, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, 0186, მიხეილ შავიშვილის ქუჩა #25*

კლიენტი - *ნებისმიერი ფიზიკური, საქართველოს ან უცხოური სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ან რეგისტრაციის გარეშე შექმნილი პირი, რომელიც წინამდებრე მომსახურების სტანდარტულ პირობებს უერთდება ვებგვერდზე რეგისტრაციის ან/და შეთანხმებაზე ხელმოწერით და რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შეთანხმებაში ან/და HRRA-სთვის ხელმისაწვდომია რეგისტრაციის შედეგად*

მხარე - *HRRA ან კლიენტი, ცალ-ცალკე კონტექსტის შესაბამისად*

მხარეები - *HRRA და კლიენტი ერთობლივად*

ვებგვერდი - *ინტერნეტ მისამართი www.HR.ge, რომელიც ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მოიცავს, მათ შორის მის შიგთავსს, მონაცემთა ბაზებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, კოდებს და გრაფიკულ მონაცემებს*

პარტნიორი ვებგვერდი - *ერთერთი, რამდენიმე ან ყველა შემდეგი ინტერნეტ მისამართი: www.CV.ge, www.doctor.ge, www.career.ge, www.chefs.ge, www.bankers.ge რომელიც ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მოიცავს, მათ შორის მის შიგთავსს, მონაცემთა ბაზებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, კოდებს და გრაფიკულ მონაცემებს*

ვებგვერდები - *ვებგვერდი და პარტნიორი ვებგვერდი ერთობლივად, კონტექსტის შესაბამისად*

განცხადება - *ვაკანსია, ტრეინინგი, ტენდერი ან სხვა შინაარსობრივად მსგავსი ტექსტი, რომელიც კლიენტის დაკვეთის შესაბამისად განთავსდება ვებგვერდზე ან ვებგვერდებზე*

მომსახურების ღირებულება - *თანხა, რომელსაც კლიენტი გადაუხდის HRRA-ს მომსახურების სანაცვლოდ*

მომსახურების სტანდარტული პირობები - ეს ვებგვერდის მომსახურების სტანდარტული პირობები

შეთანხმება - *შეთანხმება მომსახურების განსაკუთრებულ პირობებზე, რომელის დადება არ არის სავალდებულო, თუმცა დამატებითი პირობების შეთანხმების ფარგლებში, შესაძლოა დროდადრო დაიდოს HRRA-ს და კლიენტს შორის*

მომსახურება - *განთავსება და CV ონლაინ ბაზით მომსახურება ერთობლივად, ხოლო ცალ-ცალკე კონტექსტის შესაბამისად*

განთავსება - *კლიენტის დაკვეთის შესაბამისად, HRRA-ს მიერ კლიენტის განცხადების განთავსება ან/და გავრცელება ვებგვერდზე, ვებგვერდებზე, პარტნიორ ვებგვერდზე განთავსების პროდუქტის ან მომსახურების პაკეტის შესაბამისად*

CV ონლაინ ბაზით მომსახურება - *HRRA-ს მიერ, კლიენტის დაკვეთის შესაბამისად, CV ონლაინ ბაზაზე კლიენტის სხვადასხვა დაშვების წვდომის მინიჭება, ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად*

CV ონლაინ ბაზა - *ფიზიკური პირების CV-ების და თანმდევი დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც ფიზიკური პირების მიერ ატვირთულია ვებგვერდზე*

დაკვეთა - *კლიენტის მიერ HRRA-სთვის ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული მოთხოვნა კონკრეტულ მომსახურებაზე*

ხელშეკრულება - *ხელშეკრულებას და შესაბამისად ერთიან გარიგებას, ქმნის წინამდებარე ვებგვერდის მომსახურების სტანდარტული პირობები, მისი დანართების ჩათვლით, მათ შორის ვებგვერდზე განთავსებული პროდუქტი და მომსახურების ღირებულება, ვებგვერდზე დროდადრო განთავსებული სხვა პირობები თუ წესები, რომელსაც კლიენტი უერთდება რეგისტრაციის გზით, და არსებობისას შეთანხმება მომსახურების განსაკუთრებულ პირობებზე, ნებისმიერი დამატებები ან/და ცვლილებები, რომელიც შესაძლოა დროდადრო დაიდოს მხარეებს შორის ან/და გახდეს სხვაგვარად ხელმისაწვდომი*

პროდუქტი - *განთავსების პროდუქტი ან ერთობლივი განთავსების პროდუქტი, ერთობლივად ან ცალ-ცალკე კონტექსტის შესაბამისად*

განთავსების პროდუქტი - *ვებგვერდით მომსახურების ფარგლებში, მომსახურების მოდულში, კლიენტის დაკვეთის შესაბამისად განცხადების განთავსებისთვის გამოყოფილ სივრცეში, კონკრეტული ტიპის განცხადების განთავსება, რომელსაც მიესადაგება ინდივიდუალურად მომსახურების ღირებულება და რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია www.HR.ge-ზე, კერძოდ: https://www.hr.ge/info/services-hr-ge*

ერთობლივი განთავსების პროდუქტი - *ვებგვერდებით მომსახურების ფარგლებში, ვებგვერდების მომსახურების მოდულში, კლიენტის დაკვეთის შესაბამისად განცხადების განთავსებისთვის გამოყოფილ სივრცეში, კონკრეტული ტიპის განცხადების განთავსება, რომელსაც მიესადაგება ინდივიდუალურად მომსახურების ღირებულება, ისე როგორც მოცემულია www.HR.ge-ზე*

რეგისტრაცია - *ვებგვერდზე რეგისტრაცია, რომელიც შესაძლებელია www.HR.ge-ზე, კერძოდ: https://customer.hr.ge/register/customer*

I - ზოგადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები, განცხადებები და გარანტიები

1. თუკი კონტექსტით სხვაგვარად არ მოითხოვება, სიტყვები მხოლობით რიცხვში მოიცავს მრავლობითს და პირიქით, ხოლო მუხლების დასათაურება მხოლოდ მოსახერხებელს ხდის ტექსტის წაკითხვას და არ ცვლის მის შინაარსს.
2. ხელშეკრულების შესრულების ადგილია HRRA-ს იურიდიული მისამართი.

3. ხელშეკრულება უპირატესია და აუქმებს, ამ ხელშეკრულების ვადაზე ადრე დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას, გარიგებას თუ შეთანხმებას, როგორც წერილობითს ისე სიტყვიერს, რომელიც შეეხება ამ ხელშეკრულების საგანს და ამავე ხელშეკრულებით მოწესრიგებულ ურთიერთობას.
4. მხარეები ადასტურებენ, რომ მათ აქვს სათანადო უფლებამოსილება დადონ ხელშეკრულება. ნებისმიერი საჭირო თანხმობა, ნებართვა, არის სათანადოდ მიღებული და მხარეებს შეძენილი აქვთ საჭირო უფლებამოსილება და შესაძლებლობა დადონ, დაიცვან და შეასრულონ აღნიშნული გარიგება.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მომსახურების ღირებულების სანაცვლოდ HRRA-ს მიერ კლიენტისთვის: (ა) განთავსება; ან/და (ბ) CV ონლაინ ბაზით მომსახურება, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების და მოთხოვნების შესაბამისად.
2. მომსახურებას გაწევა მოხდება კლიენტზე, შესაბამისად კლიენტი ვალდებულია პირადად ისარგებლოს მომსახურებით.

მუხლი 3. რეგისტრაცია

მომსახურებების მისაღებად კლიენტს ესაჭიროება ვებგვერდზე რეგისტრაცია. რეგისტრაციის მოთხოვნას და პირობებს ადგენს HRRA ცალმხრივად, ხოლო რეგისტრაციის არქონამ შესაძლოა გამოიწვიოს მომსახურების ან მისი ნაწილის მიღების შეუძლებლობა, რაზეც HRRA-ს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა.

მუხლი 4. დაკვეთა

დაკვეთა შესაძლებელია როგორც იმეილის საშუალებით ისე ვებგვერდის მეშვეობით. მიუხედავად აღნიშნული დათქმისა, HRRA უფლებამოსილია, როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ დაკვეთაზე, ცალმხრივად დაადგინოს დაკვეთის განსხვავებული წესი.

II - განთავსება

მუხლი 5. განთავსების საგანი

განთავსების ფარგლებში HRRA კლიენტის დაკვეთის შესაბამისად განათავსებს განცხადებას ვებგვერდზე ან ვებგვერდებზე შესაბამის მოდულში, რომლის განთავსების ვადები, ღირებულება ან სხვა პირობები დადგენილია HRRA-ს მიერ ცამხრივად, ან/და განსაზღრულია შეთანხმებით.

მუხლი 6. განთავსების წესი

1. ვებგვერდზე ან ვებგვერდებზე განთავსების დაკვეთის HRRA-ზე გაგზავნით, კლიენტი უფლებას ანიჭებს HRRA-ს გამოაქვეყნოს (გახადოს საჯაროდ ხელმისაწვდომი) აღნიშნული განცხადება, კლიენტის მიერ მითითებული კრიტერიუმების ან/და ტექსტის (არსებობისას) შესაბამისად.
2. დაკვეთის ფარგლებში HRRA, მომსახურების ფარგლებში, კლიენტს გაუწევს მხოლოდ იმ მომსახურებას, რომელსაც დაუკვეთავს კლიენტი. დაკვეთისას კლიენტი ვალდებულია HRRA წარუდგინოს სრული, ყოვლისმომცველი, სწორი, ნამდვილი და უახლესი ინფორმაცია.
3. დაკვეთა უნდა მოიცავდეს არანაკლებ: (ა) განცხადების შინაარს, (ბ) განთავსების პერიოდს, რომელიც უნდა იყოს არაუმეტეს კონკრეტულ პროდუქტზე დადგენილი პერიოდისა (გ) შერჩეულ კონკრეტულ განთავსების პროდუქტს ან ერთობლივი განთავსების პროდუქტს; და (დ) განთავსების არხების შესახებ ინფორმაციას.
4. იმ შემთხვევაში, თუ დაკვეთაში არ არის გათვალისწინებული განთავსების თარიღი, იგულისხმება რომ განცხადება განთავსდება დაკვეთის მიღებიდან მინიმალურ გონივრულ ვადაში, მისი სტანდარტული მოქმედების პერიოდი იქნება კონკრეტული პროდუქტზე დადგენილი ვადა.

5. ბათილია დაკვეთა, რომელიც მიუთითებს არარსებულ პროდუქტზე ან პროდუქტი არ არის მითითებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც HRRA კლიენტს მისცემს შესაძლებლობას დააზუსტოს პროდუქტი.

მუხლი 7. მხარეთა გარანტიები

1. კლიენტი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ:
   (ა) განთავსება ხორციელდება ვებგვერდზე განცხადების გამოქვეყნებით, ისე რომ განცხადების ტექსტი და შინაარსი ხელმისაწვდომია საჯაროდ, ხელშეკრულების, საქართველოს კანონმდებლობისა და ვებგვერდის სპეციფიკის შესაბამისად;
   (ბ) არის სრულად პასუხისმგებელი მის მიერ მიწოდებული განცხადების შინაარსზე და ვალდებულია აანაზღაუროს მიწოდებული განცხადების გამოქვეყნებით გამოწვეული ნებისმიერი სახის ზიანი, ასევე პასუხი აგოს ნებისმიერ ჯარიმაზე ან/და ადმინისტრაციულ პროცესზე, რაც შესაძლოა განცხადებამ ან მისმა გამოქვეყნებამ გამოიწვიოს;
   (გ) HRRA არ არის ვალდებული შეისწავლოს და გაანალიზოს განცხადება და მისი შინაარსი და ასეთზე სრულად პასუხისმგებელია კლიენტი.
2. განთავსება არის HRRA ერთპიროვნული პრეროგატივა. კლიენტის მიერ ნებისმიერი, ამ მომსახურების სტანდარტული პირობების, საქართველოს კანონმდებლობის, ნორმალური ბიზნეს ეთიკასთან შეუთავსებლობამ ან ასეთის დარღვევამ, შესაძლოა გამოიწვიოს მომსახურებაზე უარი, ან მისი არსებული განცხადების მოხსნა (წაშლა) ვებგვერდიდან.

მუხლი 8. მომსახურების მოდული

1. მომსახურების მოდული არის ვებგვერზე ან ვებგვერდებზე გამოყოფილი სივრცე (ადგილი), სადაც HRRA კლიენტის დაკვეთის შესაბამისად, არჩეული განთავსების პროდუქტის ფარგლებში და შესაბამისი მომსახურების ღირებულების სანაცვლოდ, შეასრულებს განთავსებას, ამ მომსახურების სტანდარტული პირობების შესაბამისად.
2. მომსახურების მოდული, ჩაშლილია განთავსების პროდუქტებად, რომელსაც მისადაგებული აქვს შესაბამისი მომსახურების ღირებულება და რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის მომსახურების ღირებულება, მოცემულია ვებგვერდზე, კონკრეტულად: *https://www.hr.ge/info/services-hr-ge*

მუხლი 9. თავისუფალი სივრცე

1. თავისუფალი სივრცე არის ვებგვერდის ის სივრცე, რომელიც არის განთავსების პროდუქტის გარეშე არსებული სივრცე და თავისუფალი ნებისმიერი საკომისოს ან გადასახადისგან, სადაც კლიენტს, პირადად შეუძლია შეასრულოს განთავსება, ამ მომსახურების სტანდარტული პირობების შესაბამისად.
2. დაუშვებელია განცხადების დუბლირება და მისი ხელახლა განთავსება, იმ შემთხვევაში თუკი ასეთი უკვე დადებულია თავისუფალ სივრცეში და მისი საბოლოო ვადა არ არის გასული.

მუხლი 10. განცხადების შინაარსი, შეზღუდვები

1. კლიენტი პასუხისმგებელია განცხადების შინაარსზე და HRRA-ს არ შეიძლება დაეკისროს არავითარი პასუხისმგებლობა, მათ შორის ზიანის ანაზღაურება, განცხადების შინაარსთან დაკავშირებით.
2. კლიენტის მიერ დაკვეთის ფარგლებში მიწოდებული განცხადების შინაარსი:
   - უნდა შეიცავდეს კლიენტის საკონტაქტო ინფორმაციას
   - არ უნდა იყოს დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი, ვულგარული ან/და მუქარის შემცველი
   - არ უნდა ისახავდეს მიზნად ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ლახავს HRRA ან სხვა მესამე პირის საქმიან რეპუტაციას
   - არ უნდა არღვევდეს მესამე პირის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას

- არ უნდა შეიცავდეს მცდარ ინფორმაციას და არ უნდა ემსახურებოდეს არამართლზომიერი მიზნის მიღწევას
- არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და დამკვიდრებულ ბიზნეს ეთიკას

3. HRRA უფლებამოსილია უარი თქვას ყველა და ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნებაზე, თუ განცხადების შინაარსი არ შეესაბამება ამ მუხლის მეორე პუნქტით დადგენილ ერთ ან რამდენიმე დათქმას.
4. აკრძალულია ქსელური მარკეტინგის განცხადების გამოქვეყნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთზე კლიენტის მხრიდან წინასწარ არის გაფრთხილებული HRRA და შესაბამისად ასეთი განთავსება გაცნობიერებული და ნებადართულია HRRA-ის მიერ.

მუხლი 11. გავრცელების არხები, პროდუქტი და მომსახურების ღირებულების ცვლილებები

1. HRRA უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს განცხადების გავრცელების არხები, დაამატოს ახალი პროდუქტი ან/და გააუქმოს არსებული პროდუქტი, შეცვალოს მომსახურების ღირებულება, რაც არ საჭიროებს კლიენტის შეტყობინებას. ამასთან, ცვლილება არ შეეხება მიმდინარე დაკვეთებს.
2. HRRA უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, შერჩეული პროდუქტის მიუხედავად, გაავრცელოს განცხადება დამატებითი გავრცელების არხების საშუალებით.

III – CV ონლაინ ბაზით მომსახურება

მუხლი 12. CV ონლაინ ბაზით მომსახურების საგანი

CV ონლაინ ბაზით მომსახურების ფარგლებში HRRA კლიენტის დაკვეთის შესაბამისად მიანიჭებს წვდომას CV ონლაინ ბაზაზე, რომლის წვდომა, ვადები, ღირებულება და სხვა პირობები დადგენილია HRRA-ს მიერ ცალმხრივად და რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ვებგვერდზე www.HR.ge, კონკრეტულად მისამართზე: https://www.hr.ge/info/services-hr-ge.

მუხლი 13. CV ონლაინ ბაზით მომსახურების გაწევის წესი

1. CV ონლაინ ბაზით მომსახურების დაკვეთის HRRA-ზე გაგზავნით, HRRA უფლებამოსილია კლიენტს მიანიჭოს CV ონლაინ ბაზაზე სხვადასხვა ტიპის ლიმიტირებული ან სრული წვდომა, წინასწარ განსაზღვრული ვადით ან/და მოცულობით, HRRA-ს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
2. დაკვეთის ფარგლებში HRRA კლიენტს გაუწევს მხოლოდ იმ მომსახურებას რომელსაც დაუკვეთავს კლიენტი, მომსახურები ფაგლებში. დაკვეთისას კლიენტი ვალდებულია HRRA წარუდგინოს სრული, ყოვლისმომცველი, სწორი, ნამდვილი და უახლესი ინფორმაცია.
3. დაკვეთა უნდა მოიცავდეს არანაკლებ, შერჩეულ პროდუქტს და CV ონლაინ ბაზით მომსახურების დაწყების თარიღს.

მუხლი 14. CV ონლაინ ბაზით სარგებლობის მიზანი

1. CV ონლაინ ბაზით სარგებლობა, მიუხედავად წვდომისა, შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული მიზნით, კერძოდ კლიენტის მიერ საკუთარი საშტატო ერთეულების დაკომპლეტებისთვის, რაც უნდა განხორციელდეს ლოგიკურ ვადაში, შესაბამისად ბაზის, ან/და ბაზის შედეგად მირებული ინფორმაციის სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია. ნებისმიერი ეჭვის გამოსარიცხად, CV ონლაინ ბაზის საშუალებით მიღებულ დოკუმენტეტზე ან და ინფორმაციაზე სრული მოცულობით ვრცელდება ამ მომსახურების ზოგადი პირობების 24-ე მუხლით *(კლიენტის ინფორმაცია, კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები)* დადგენილი მოთხოვნები.
2. CV ონლაინ ბაზით სარგებლობისას ხელმისაწვდომი დოკუმენტი და დოკუმენტში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია თუ მონაცემი არ წარმოადგენს HRRA-ს საკუთრებას, არ არის

მიღებული უშუალოდ HRRA-სგან, არამედ მოპოვებულია ვებგვერდიდან, ფიზიკური პირების მიერ ასეთის ატვირთვით, შესაბამისად HRRA ვერ იქნება პასუხისმგებელი დოკუმენტის შინაარსზე, ნებისმიერ მონაცემის, ინფორმაციის ან/და ფაქტის სისწორეზე ან/და აკურატულობაზე.

IV – საერთო ნაწილი

მუხლი 15. მომსახურების ძირითადი პირობები

1. მომსახურების განხორციელება ხორციელდება HRRA-ს მიერ დადგენილი წესებით და საშუალებებით. კლიენტის მიერ, მომსახურების დასრულებამდე, მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, HRRA უფლებამოსილია მოითხოვოს მისგან მხოლოდ ფაქტობრივად დაკვეთილი მომსახურების ანაზღაურება, მიუხედავად იმისა ისარგებლა თუ არა კლიენტმა კონკრეტული მომსახურებით სრულად ან ნაწილობრივ.
2. მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოფერი, წინადადება ან შეთავაზება, თუკი ასეთი არ არის პირდაპირ დადგენილი, სტანდარტულად მოქმედებს ათი კალენდარული დღის განმავლობაში, რის შემდეგაც იგი კარგავს ძალას.

მუხლი 16. ანგარიშსწორება

1. მომსახურების ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით) განთავსებულია და ხელმისაწვდომია www.HR.ge-ზე. კერძოდ: https://www.hr.ge/info/services-hr-ge.
2. მომსახურების ღირებულება გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3. განთავსების მომსახურების ღირებულებაა კლიენტი გადაიხდის დაკვეთის გაგზავნიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო CV ონლაინ ბაზით მომსახურების გადახდა მოხდება წინასწარ, გარდა იმ შემთხვევისა თუკი მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.
4. მომსახურების ღირებულების დაგვიანებული გადახდის შემთხვევაში, HRRA უფლებამოსილია დროებით შეაჩეროს / გადაავადოს კლეინტის როგორც გადაუხდელი, ისე ნებისმიერი სხვა მიმდინარე მომსახურება, ხოლო HRRA-ს მიერ დამატებით გადახდის მოთხოვნის გაგზავნისას, დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას, HRRA უფლებამოსილია გააუქმოს (შეწყვიტოს) ნებისმიერი ტიპის მომსახურება კლიენტთან.
5. ნებისმიერი ეჭვის გამოსარიცხად, მომსახურების შეჩერების / გადავადების ან/და გაუქმებისას (შეწყვიტისას), კლიენტი ვადებულია გადაიხადოს მიღებული მომსახურების ღირებულება სრულად. მისი დაუყოვნებლივ გადაუხდელობის შემთხვევაში, HRRA იტოვებს უფლებას დაარიცხოს პირგასამტეხლო გადაუხდელ თანხას, საკუთარი შეხედულებით და კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და შესაძლო ოდენობით.

მუხლი 17. მომსახურების გადაყიდვა

აკრძალულია კლიენტის მიერ ნებისმიერი მომსახურების გადაყიდვა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი წინასწარ და წერილობით ნებადართულია HRRA-ის მიერ.

მუხლი 18. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

1. იმ შემთხვევაში, თუკი ნებისმიერი კლიენტი, HRRA-ს წაუყენებს პრეტენზიას, აღძრავს სარჩელს ან სხვაგვარად მოითხოვს რაიმე ტიპის ანაზღაურებას ან კომპენსაციას, HRRA-ს პასუხისმგებლობა არ შეიძლება აღემატებოდეს კლიენტის მიერ კონკრეტულ მომსახურებაში გადახდილ თანხას.
2. არცერთ შემთხვევაში HRRA არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი არავითარ პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს მიუღებელი სარგებელიდან, შემოსავლიდან ან/და საპროცენტო სარგებლიდან.

მუხლი 19. მომსახურების უწყვეტობა და დაცულობა

HRRA ვერ იძლევა გარანტიას, რომ: (ა) მომსახურება იქნება ხელმისაწვდომი და უწყვეტი ნებისმიერ დროს და (ბ) ვებგვერდები ან/და CV ონალინ ბაზა იქნება დაცული შეცდომების, ვირუსების ან/და სხვა დამაზიანებელი აპლიკაციებისგან. კლიენტი ვალდებულია საკუთარი კომპიუტერი და სხვა მოწყობილობები დაიცვას ნებისმიერი ვირუსების და დამაზიანებელი პროგრამებისგან და ასეთზე პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს HRRA-ს.

მუხლი 20. მომსახურების შეჩერება და შეწყვეტა

HRRA უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს, როგორც ინდივიდულაურად, ისე სელექციურად, რომელიმე კლიენტზე და კლიეტნთა ჯგუფზე ან კონკრეტულ განცხადებაზე, ისე რომ არ ახსნას ამის მიზეზები და ამ შემთხვევაში ის იქნება თავისუფალი ნებისმიერი ტიპის პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 21. მომსახურების გაუქმება

1. HRRA უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალხმრივად გააუქმოს ნებისმიერი დაკვეთა, იმ შემთხვევაში თუკი, ნებისმიერი ერთ-ერთი პირობა არსებობს:

- კლიენტმა არ მიაწოდა მას სწორი საკონტაქტო, კომპანიის შესახებ ან სხვა ინფორმაცია
- HRRA ჩათვლის რომ კლიენტი მოქმედებს არამართლზომიერად ან უკანონოდ
- კლიენტი ვერ გაივლის HRRA შემოწმების პროცესს ან/და გადააცილებს ნებისმიერი მომსახურების ღირებულების გადახდას
- კლიენტი გადაყიდის განცხადებს HRRA-ს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე
- CV ონლაინ ბაზაზე წვდომას გადასცემს ნებისმიერ მესამე პირს
- ჩათვლის, რომ ნებისმირი დაკვეთა არის არაკანონიერი, შეუსაბამო ან თაღლითური
- სადაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოითხოვება აპლიკაციის ან რეგისტრაცის საკომისიო
- სადაც გაცხადებულია ფინანსური პირამიდა, ქსელურ მარკეტინგი ან სწრაფი გამდიდრების სქემები
- განცხადება, რომელიც რეკლამას უწევს ვებგვერდებს, სერვისებს, ბისნესებს, ბიზნეს შესაძლებლობებს ან/და საკონტრაქტო პირობებს

მუხლი 22. ინტელექტუალური საკუთრება

მომსახურებასთან და ვებგვერდთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრება ეკუთვნის HRRA-ს ან იმ მესამე პირს ვის საკუთრებაშიც შესაძლოა იყოს ასეთი. კლიენტს არ აქვს უფლება განახორციელოს რეპროდუქცია, კოპირება, კორექტირება, გადაკეთება, გამოქვეყნება, გადაცემა, გავრცელება ან ნებისმიერი მასალის სხვაგვარად კომერციულად დამუშავება, რომელიც არის ინტელექტუალური საკუთრების საგანი.

მუხლი 23. ფორსმაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არადროული შესრულებისათვის თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორს-მაჟორული ვითარებით.

მუხლი 24. კლიენტის ინფორმაცია, კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები

1. HRRA უფლებამოსილია მიიღოს, დაამუშავოს და შეინახოს კლიენტის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა ხელშეკრულების ფარგლებში, მისთვის მომსახურების გაწევის, ხელშეკრულების შესრულების და კანონმდებლობის, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისთვის.

2. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას მეორე მხარისაგან მიღებული ფინანსური, კომერციული და სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ასეთი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისთვის შეიძლება მხოლოდ მეორე მხარის

წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებზე და ამ მუხლის მომდევნო პუნქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

3. ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მხარეების კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ან/და გადაცემა შესაძლებელია საზედამხედველო ორგანოზე, გარე აუდიტორული და საგადასახდო აუდიტის მიზნებისთვის დაქირავებულ კომპანიებზე, იურიდიულ კომპანიებზე, რომლებიც შესაბამისი სერვისის ფარგლებში უფლებამოსილნი იქნებიან მიიღონ, გაეცნონ და შეინახონ სერვისის განხორციელების მიზნით საჭირო ინფორმაცია.

4. კლიენტი აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მიიღებს უშუალოდ HRRA-სგან, ან/და მისთვის ხელმისაწვდომი გახდება მომსახურების ფარგლებში ნებისმიერ პირზე, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და მისი გამჟღავნება, გადაცემა დაუშვებელია მესამე პირებისთვის.

5. კლიენტი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, პერსონალური, განსაკუთრებული კატეგორიის ან/და ბიომეტრიული მონაცემი და მიმართოს გონივრულ ქმედებებს იმისთვის, რომ არ მოხდეს მისი გამჟღავნება ან მესამე პირთა წვდომა ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციისადმი. ამ მიზნით, კლიენტი დაიცავს მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას და მონაცემებს არანაკლებ იმავე დაცვისა და სიფრთხილის ხარისხით, რასაც ის ჩვეულებრივ იყენებს საკუთარი კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცავად. კლიენტი კონფიდენციალურ ინფორმაციას შეინახავს უსაფრთხო გარემოში, არ გაამრავლებს, არ გაამჟღავნებს და არ გამოიყენებს მას, გარდა HRRA-ს მიერ გაწეული მომსახურების მიღების მიზნით.

6. კლიენტი აცნობიერებს, რომ ნებისმიერი პირის პერსონალური ან/და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რომელიც შეიძლება მიიღოს მომსახურების ფარგლებში, შესაძლოა დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული მიზნისთვის. შესაბამისად, კლიენტი იღებს ვალდებულებას არ დაამუშავოს *(არ შეაგროვოს, ჩაწეროს, შეინახოს, გამოიყენოს, გადასცეს, გაავრცელოს ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი გახადოს)* ზემოაღნიშნული მონაცემები, გარდა ერთჯერადად დამუშავებისა იმ მიზნით, რა მიზნისთვისაც მოხდა მისი მიღება და გაანადგუროს ასეთი მოთხოვნისთანავე, მომსახურების მიღებიდან ლოგიკურ ვადაში ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებზე.

მუხლი 25. უფლებამონაცვლეობა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები ვრცელდება სამართალმემკვიდრეზე და უფლებამონაცვლეზე.

მუხლი 26. ბათილობა

ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ან მისი ნაწილის ბათილობა არ იწვევს სხვა მუხლებისა თუ პუნქტების ბათილობას, შესაბამისად დანარჩენი მუხლები, პუნქტები და ქვეპუნქტები ინარჩუნებენ ძალას.

მუხლი 27. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია, კლიენტის მხრიდან ვებგვერდზე რეგისტრაციის მომენტიდან ან/და მხარეების მიერ შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან და მისი მოქმედება გრძელდება შეთანხმებით დადგენილი ვადით ან/და რეგისტრაციის გაუქმებამდე და მხარეთა მიერ ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მუხლი 28. ერთიანი ხელშეკრულება, ცვლილებები და დამატებები, უპირატესობა

1. მომსახურების სტანდარტული პირობები, მისი ნებისმიერი დანართი, მათ შორის ვებგვერდზე განთავსებული პროდუქტი და მომსახურების ღირებულება, რეგისტრაცია და არსებობისას შეთანხმება მომსახურების განსაკუთრებულ პირობებზე ქმნის ერთიან გარიგებას.

2. HRRA უფლებამოსილია ერთპიროვნულად, ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს ან/და დაამატოს მომსახურების სტანდარტული პირობები, მისი ნებისმიერი დანართი, მათ შორის ვებგვერდზე განთავსებული პროდუქტი და მომსახურების ღირებულება, რეგისტრაციის წესის პირობები. ცვლილება ან/და დამატება შეეხება მხოლოდ ცვლილების ან/და დამატებების შემდეგ განხორციელებულ დაკვეთებს.
3. ზემოაღნიშნული ცვლილების ან/და დამატებების შესახებ ინფორმაცია კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახდება ცვლილებების ან/და დამატებების შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებით.
4. HRRA შესაძლოა კლიენტს ცვლილებები გაუგზავნოს მისთვის ცნობილ ელექტრონულ მისამართზე. ახალი, შეცვლილი ან/და დამატებული, პირობები ძალაში შედის დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი სხვაგვარად არ დადგინდება HRRA-ს მიერ, თუმცა არ ვრცელდება მიმდინარე, ცვლილებების ან/და დაკვეთის ძალაში შესვლამდე არსებულ დაკვეთებზე.
5. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია ვებგვერდზე და ვებგვერდებზე HRRA-ს მიერ მისი განთავსებიდან მომდევნო სამუშაო დღეს, ხოლო შეთანხმების ნაწილში მისი წერილობით დადებისთანავე.
6. ამ მომსახურების ზოგად პირობებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა ადრე გაფორმებულ ანალოგიურ ხელშეკრულებებთან ან გარიგებებთან მიმართებაში.

მუხლი 29. შეტყობინებები და კომუნიკაცია

მხარეები ელექტონული კომუნიკაციის შემთხვევაში, მათ შორის შეთანხმების სკანირებული ვერსიის გაცვლისას, დაკვეთისას, კორესპონდენციის წარმოების ან სხვა კომუნიკაციისას გამოიყენებენ, HRRA-ს შემთხვევაში კორპორატიულ ელექტონულ მისამართებს, ხოლო კლიენტი შეთანხმებით დადგენილ, ვებგვერდზე ან ვებგვერდებზე რეგისტრირებულ ელექტრონულ მისამართს ან HRRA-სთვის სხვაგვარად მიწოდებულ ელექტრონულ მისამართს.

მუხლი 30. მოქმედი სამართალი

1. ხელშეკრულება შედგენილია მოქმედი ქართული სამართლის შესაბამისად და მასზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.
2. ურთიერთობა, რომელიც არ არის მოწესრიგებული ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 31. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

მხარეებს შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობისას, დავას განიხილავს საქართველოს უფლებამოსილი სასამართლო.

მუხლი 32. ენა და ეგზემპლარები

1. შეთანხმება უნდა შედგეს ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, ისე, რომ თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.
2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე მხარემ არ იცის ქართული ენა ან/და დამწერლობა, ხელშეკრულება შესაძლოა შედგეს და დაიდოს მისთვის გასაგებ ენაზე. ხელშეკრულების თარგმანთან დაკავშირებით ქართულენოვან ვერსიას ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა და ნებისმიერი განმარტების თუ ინტერპრეტაციისას გამოიყენება ხელშეკრულების ქართულენოვანი ვერსია.